ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 37

15 მაისი, 2020 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
თ. ტალიაშვილი, ა. ლაშხი, გ. გოცირიძე, ვ. ძნელაძე, ე. კუხიანიძე, მ. დარჩია.

მოწვეული სტუმრები:

1. ნინო ლაცაბიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია, ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი;
2. მიხეილ ქუთათელაძე - ვიცე-პოლკოვნიკი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი;
3. ელისო ნარსია - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
4. ნათია ქადაგიშვილი - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი
5. კახაბერ გვანცელაძე - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორი;

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის №25-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი: ქალბატონი თამარ ტალიაშვილი

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარადგინა დღის წესრიგი, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა.

მოისმინეს:

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა წარადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი და აღნიშნა, რომ ინიცირების შედეგად, თბილისის საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებში 2020 წლიდან რეგისტრაციის უპირატესი წესით უკვე არსებულ პირთა გარდა, ისარგებლებენ მრავალშვილიანი მშობლის შვილები, საერთაშორისო სამშვიდობო მისიებსა და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაჭრილი, დაშავებული, დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული სამხედრო მოსამსახურეების შვილები; აგრეთვე, საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში (რეგისტრაციის პერიოდში) მყოფი სამხედრო მოსამსახურეების შვილები.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დადგენილების პროექტის შემუშავება განპირობებულია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნით, რომლის შესაბამისად, ბავშვთა სათანადო განვითარებისა და სკოლისათვის მოსამზადებლად, მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფენ ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის შექმნას, ბავშვისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვას. აღნიშნული კი ხელს შეუწყობს მოწყვლადი ჯგუფებისთვის, კერძოდ, მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე პირის შვილის ან/და ნაშვილების, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში, საერთაშორისო სამშვიდობო მისიებსა და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაჭრილი, დაშავებული, დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული სამხედრო მოსამსახურეებისა და საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების შვილებისთვის დამატებითი სოციალური გარანტიების შექმნას.

დეპუტატის განმარტებით, 2015 წლამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა ერთიანი მარეგულირებელი წესი, რითაც დარეგულირდებოდა თბილისში არსებული საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა რეგისტრაცია. სწორედ ხარვეზის

აღმოსაფხვრელად, გამჭვირვალობისა და საჯაროობისთვის 2015 წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომიისიის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობით, შემუშავდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესი“, რის საფუძველზეც ხდება ბავშვების რეგისტრაცია თბილისის საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებში.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ წინა წლებში დაყენებული ინიციატივების შედეგად, აღნიშნული წესის მე-9 მუხლის მე-10 პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს უპირატესი რეგისტრაციით მოსარგებლე პირებს, გაფართოვდა და შედეგად, 2019 წლიდან მარტოხელა სტატუსის მქონე პირების შვილები და ასევე, 2015 წლის ივლისიდან 2017-2018 სასწავლო-სააღმზრდელო წლის ჩათვლით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიით დაზარალებული ოჯახის ბავშვები დაემატა.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, საკითხი სოციალური მნიშვნელობისაა და მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე და სამხედრო პირების მხარდაჭერას ისახავს მიზნად; შესაბამისად, განათლებისა და კულტურის კომისია საკრებულოს დეპუტატთან, ქალბატონ ნინო ლაცაბიძესთან და შესაბამის უწყებებთან - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტთან, რომლებმაც მომართეს განათლებისა და კულტურის კომისიას შესაბამისი წინადადებებით, და ასევე, ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთან“ - თანამშრომლობით საკითხზე მსჯელობისა და განხილვის შედეგად, საკანონმდებლო ცვლილების ინიცირების პროექტით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, რაც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის №25-101 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 პუნქტისთვის შემდეგი შინაარსის „ვ“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების დამატებას:

„ვ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1191[2] მუხლით გათვალისწინებული მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე პირის შვილი ან/და ნაშვილები;

ზ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში, საერთაშორისო სამშვიდობო მისიებსა და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაჭრილი, დაშავებული, დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული სამხედრო მოსამსახურეების შვილები;

თ) რეგისტრაციის პერიოდში, საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების შვილები".

ქალბატონი თამარ ტალიაშვილის განმარტებით, 2018 წლის 27 ივნისს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილება (N2606-IIს) და კოდექსს დაემატა 1191[2] მუხლი, რომლითაც განისაზღვრა მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე პირ(ებ)ი. მრავალშვილიან მშობლად ჩაითვალა პირი, რომელსაც ჰყავს ოთხი ან მეტი შვილი ან/და ნაშვილები. 2018 წლის 31 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობამ მიიღო № 517 დადგენილება - „მრავალშვილიანი მშობლის სოციალური დაცვის უზრუნველყოფის წესისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე", რომლითაც მოწესრიგდა მრავალშვილიანი მშობლისთვის სოციალური შეღავათის გაცემის პროცედურა.

2019 წლის 30 აპრილს კი დამტკიცდა „მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის დადგენისა და გაუქმების და შესაბამის პირთა შესახებ მონაცემების წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის №212 დადგენილება, რომელიც ძალაშია 2019 წლის 6 მაისიდან. აღნიშნული დადგენილება განსაზღვრავს ბენეფიციარ პირთა წრეს, სამართლებრივ საფუძვლებსა და პროცედურებს, რომელთა შესაბამისად პირს შეიძლება მიენიჭოს მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი.

დეპუტატის თქმით, საქართველოს კანონმდებლობა აწესრიგებს მრავალშვილიანი მშობლის სოციალური უზრუნველყოფის ცალკეული გარანტიებს. თუმცა ამ ჯგუფის განსაკუთრებული საჭიროებებიდან გამომდინარე, აუცილებელია მათთვის ხსენებული გარანტიების მუნიციპალურ დონეზე განვრცობა, რაც ასევე ხელს შეუწყობს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით, თბილისის მუნიციპალიტეტისთვის მინიჭებული უფლებამოსილების უკეთ განხორციელებას. აღნიშნულ საკითხზე მუშაობის შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ნინო ლაცაბიძემ მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის №25-101 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის წინადადებით.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, არსებული სოციალური გამოწვევებიდან გამომდინარე, ასეთივე საკანონმდებლო გარანტიების შექმნაა საჭირო სამხედრო მოსამსახურეების შვილ(ებ)ისთვის, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საქართველოს თავდაცვის პოლიტიკისა და „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის ეფექტურად განხორციელებასაც. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მიმართა ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს" და წარუდგინა წინადადება ცალკეული კატეგორიის სამხედრო მოსამსახურეთა შვილებისათვის თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-სააღმზრდელო წლის დაწყებამდე რეგისტრაციის პერიოდში, რეგისტრაციის უპირატესობით სარგებლობის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიის წევრის, ქალბატონი მარიკა დარჩიას თქმით, იგი მიესალმება განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ წარმოდგენილ დადგენილების ცვლილების პროექტს და ქალბატონი ნინო ლაცაბიძისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინადადებებს. ასევე, დეპუტატი დაინტერესდა 2020 წლის რეგისტრაციის დაწყების თარიღით.

ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორმა ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ დადებითად შეაფასა აღნიშნული ინიციატივა. მისი თქმით, თბილისის საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა ელექტრონული რეგისტრაცია 2020-2021 სააღმზრდელო წლისთვის 12 ივნისს დაიწყება და პროცესი ორ ეტაპად ჩატარდება. პირველი ეტაპი, რომელიც პრიორიტეტული კატეგორიების აღსაზრდელთა ჩარიცხვას გულისხმობს, 12 ივნისს, 12:00 საათზე დაიწყება და 19 ივნისამდე გაგრძელდება.

ბატონი კახაბერ გვანცელაძის განმარტებით, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო მიმდინარე წელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მშობლებისთვის რეგისტრაციის წესს ამარტივებს. მისი თქმით, სააგენტოში მისვლის ნაცვლად, სსსმ ბავშვების რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია (ბავშვის დაბადების მოწმობა, ჯანმრთელობის ცნობა - ფორმა 100, ფორმა 50) და მშობლის საკონტაქტო ინფორმაცია მშობლებმა უნდა გაგზავნონ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: kidsreg2020@gmail.com.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ქალბატონ ნინო ლაცაბიძესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელს, როგორც სხდომაზე განსახილველი საკითხების ინიცირების წინადადებების ავტორებს.

ქალბატონმა ნინო ლაცაბიძემ ხაზი გაუსვა საკითხის მნიშვნელობასა და აქტუალობას და მუნიციპალური სერვისების დროულ თანხვედრას ცენტრალურ დონეზე მიმდინარე

საკანონმდებლო ცვლილებებსა და სამთავრობო პროექტებთან. დეპუტატის განმარტებით, თბილისის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიას გასულ შემოდგომას შეხვედრა ჰქონდა მრავალშვილიან ოჯახებთან, რომელსაც ესწრებოდა სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები, მათ შორის „გენი ქართული"-ს წევრები. კომისია მსჯელობდა, თუ როგორ შეიძლებოდა სოციალურ-ეკონომიურად გაძლიერებულიყო აღნიშნული კატეგორიის პირები, რა ხელმშემწყობი ღონისძიებების გატარება შეეძლო მუნიციპალიტეტს. შეხვედრაზე მოწვეულმა ორგანიზაციებმა დაახლოებით ათი ძირითადი საკითხი გამოკვეთეს, რაშიც მუნიციპალურ მხარდაჭერას საჭიროებდნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო ქალაქ თბილისის საჯარო საბავშვო ბაღებში მრავალშვილიანი ოჯახების შვილთა უპირატესი წესით ჩარიცხვის უფლების მინიჭება. ქალბატონმა ნინო ლაცაბიძემ სიტყვის დასასრულს აღნიშნა, რომ იგი მოხარულია წინამდებარე დადგენილების პროექტში ცვლილებების განხორციელების ინიცირებით და მრავალშვილიანი დედების სახელით მადლობა გადაუხადა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ქალბატონმა ელისო ნარსიამ მადლობა გადაუხადა კომისიის თავმჯდომარეს სხდომაზე მოწვევისთვის და საკითხის განხილვისთის. ქალბატონი ელისოს თქმით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვა, სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. ქალბატონი ელისოს განმარტებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში, საერთაშორისო სამშვიდობო მისიებსა და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაჭრილი, დაშავებული, დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული სამხედრო მოსამსახურეები, ასევე საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მყოფი სამხედრო მოსამსახურეები არიან სამხედრო პირთა განსაკუთრებული კატეგორია, რადგან მათმა ნაწილმა სიცოცხლე შესწირეს ქვეყანას, ნაწილი კი პირნათლად ემსახურება საქართველოს და მზად არის თავგანწირისთვის, რისთვისაც განსაკუთრებულ ყურადღებასა და პატივისცემას იმსახურებენ. ამიტომ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო განსაკუთრებით ზრუნავს მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, მკურნალობა-რეაბილიტაციაზე, საზოგადოებაში რეინტეგრაციასა და რესოციალიზაციაზე, განათლებასა და ფინანსურ მხარდაჭერაზე და ამ პროცესში თავისი წვლილი შეაქვს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს. დღეს, კომისიის სხდომაზე განხილული საკითხის დადებითად გადაწყვეტა კი იქნება სამხედროების პატივისცემისა და მათზე ზრუნვის კიდევ ერთი დადასტურება, რისთვისაც თავდაცვის სამინისტრო მადლიერებას

გამოხატავს, თბილისის საკრებულოსა და განათლებისა და კულტურის კომისიის მიმართ.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა მადლობა გადაუხადა ქალბატონ ელისო ნარსიას სამინისტროს ამგვარი პოზიციის გადმოცემისთვის.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა გულია გოცირიძემ, მადლობა გადაუხადა ქალბატონ ნინო ლაცაბიძეს საკანონმდებლო ცვლილების შესახებ წინადადების დაყენებისთვის და დაინტერესდა სხვა ხელშემწყობი მუნიციპალური პროგრამებიც ხომ არ განიხილება მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე პირებისთვის.

საკითხთან მიმართებით, ქალბატონმა ნინო ლაცაბიძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ, თავის ნაწილში განიხილა მრავალშვილიანი ოჯახებისთვის ხელშემწყობი ცალკეული პროგრამა, დანარჩენ სოციალურ შეღავათებზე, კი მოგვიანებით წარუდგენს საკრებულოს წევრებს.

სხდომის დასასრულს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს განსახილველი დადგენილების ცვლილების პროექტი და აღნიშნეს, რომ მიესალმებიან წლიდან წლამდე აღნიშნული წესის ჰარმონიზაციას ცენტრალურ დონეზე მიმდინარე პროცესებთან, რითაც ის კიდევ უფრო მორგებული ხდება დედაქალაქის მოქალაქეების საჭიროებებზე და იმ ჯგუფებზე, რომელთაც განსაკუთრებით სჭირდებათ მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

თამარ ტალიაშვილმა, მარიკა დარჩიამ, კახაბერ გვანცელაძემ, ნინო ლაცაბიძემ, ელისო ნარსიამ, გულია გოცირიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 02 ოქტომბრის N25-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე _____	6
წინააღმდეგი _____	0
თავი შეიკავა _____	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის განხილვისა და მსჯელობის შედეგად დაადგინა: განათლებისა და კულტურის კომისიას არ აქვს შენიშვნები და რეკომენდაციები აღნიშნული დადგენილების პროექტის მიმართ, დადებითად აფასებს მას და ერთხმად უჭერს მხარს მის გატანას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თამარ ტალიაშვილი